თანხმობის წერილი

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმომწერი, შპს „დინო 2007“ (ს/ნ 202390858), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია გაგნიძის (პ/ნ 01022008225) სახით (შემდგომში „მესაკუთრე/მეიჯარე“), როგორც ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N65-67-ში მდებარე 297.60 კვ.მ. კომერციული ფართის (საკადასტრო კოდი: # 01.14.11.024.025.01.500) (შემდგომში „უძრავი ქონება/საიჯარო ფართი“) მესაკუთრე, თანხმობას აცხადებს, შპს „გასტრონომ საქართველომ“ (ს/ნ 418473547) (შემდგომში „მოიჯარე“) საიჯარო ფართზე განახორციელოს წარმოდგენილი ფოტომონტაჟით (იხ. დანართი #1) გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოები სრულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მოიჯარე შპს „გასტრონომ საქართველო“ (ს/ნ 418473547) უფლებამოსილია, ხელი მოაწეროს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ აქტს და დოკუმენტს და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული თანხმობის წერილში, მაგრამ საჭიროა უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

ამასთან, მოიჯარე შპს „გასტრონომ საქართველო“ (ს/ნ 418473547) უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტი წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ან/და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სრულად განახორციელოს ფოტომონტაჟით (დანართი #1) გაცემულ სამუშაოებთან დაკავშირებით მათთვის მინიჭებული უფლებები. დანართი N1. ფოტო - მონტაჟი

პატივისცემით,

შპს „დინო 2007“-ის დირექტორი
ნათია გაგნიძე

ხელმოწერა: ნ. გ.

12 ნოემბერი, 2026 წ.

ნათია გაგნიძე

აბაშიძის 65/67



ფოტომონტაჟი

გამოყენებული მასალები: PVC, სტიკერი, ლითონის მილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N261622554

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 17.11.2026 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი ბაჩანა შენგელია

სანოტარო ბიუროს მისამართი ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა 13

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 551 70 88 11

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 57599744896526

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

2026 წლის 17 ნოემბერს, **საქართველოს ნოტარიუს ბაჩანა შენგელიას**, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ.#13, მომმართა: **ნათია გაგნიძემ**, რომლმაც წარმოადგინა დოკუმენტი (თანხმობის წერილი) ერთ ეგზემპლარად და მოითხოვა მასზე თავისი 2 ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა: **ნათია გაგნიძემ** (დაბ.07.02.1984წ. პ/ნ 01022008225, რეგ. მის. საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, II კვარტალი, კორპუსი 31, ბინა 66). შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტის ტექსტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე.

შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **14.44** ლარი, მათ შორის: **8.00** ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, დღგ: **1.44** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, **5.00** ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ბაჩანა შენგელია